| | სპეციალური მასწავლებელი. ექსპერტების რეკომენდაციის გათვალიწინებით სკოლამ teachers.gov.ge-ზე უკვე დადო ვაკანსია. ასევე სკოლის ფსიქოლოგთან ინტერვიუირების პროცესში გაირკვა რომ მოსწავლეს 2022-2023 სასწავლო წელს შეთავაზებული აქვს ნაწილობრივი ტიპის სასწავლო გეგმით სწავლება, რომელიც ასევე არ იყო გაწერილი მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სწავლების ფორმის მულტიდისციპლინარულ ჯგუფთან შეთანხმებასთან დაკავშირებით. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულება განთავსებულია 1000კვ.მ მიწის ნაკვეთზე არსებულ ოთხსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართი წარმოადგენს 1617.34კვ.მ-ს. აღნიშნული ფართიდან სასწავლო აუდიტორიის ფართი შეადგენს 1122.33კვ.მ-ს, საზაფხულო ფართობი 271.18კვ.მ-ს, სარდაფი - 125.39კვ.მ, კიბის უჯრედი და სადარბაზოს ფართი 98,44კვ.მ-ს.<br>სარდაფში, რომელიც წარმოადგენს ნახევრად სარდაფს რადგან აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა განთავსებულია სპორტული დარბაზი.<br>პირველ სართულზე განთავსებულია 4 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები და დარბაზი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მეორე სართულზე განთავსებულია დირექციის ოთახი, 6 საკლასო ოთახი, ერთი განაყოფების ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია და სველი წერტილები.<br><br>მესამე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, 5 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სველი წერტილები.<br><br>მეოთხე სართულზე განთავსებულია სასადილო, სამზარეულო, ბიბლიოთეკა და ღია სივრცე ე.წ. ვერანდა. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. თბილისი, კრისტოფერო კასტელის ქუჩა N 9 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.72.14.042.151 |
| *კვ.მ.* | 1617.34 კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | ამონაწერი საჯარო რეესტრიდან |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში განთავსებულია 15 საკლასო ოთახი, 1 განაყოფის ოთახი, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, სამზარეულოს და სასადილოს დარბაზი, ექიმის კაბინეტები, სამასწავლებლო და ადმინისტრაციის კაბინეტები.<br><br>საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ასაკის გათვალისწინებით, 265 მერხით და სკამით. საკლასო ოთახები ასევე აღჭურვილია სასკოლო დაფებით, მასწავლებლი მაგიდითა და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარით. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც მდებარეობს ნახევრადსარდაფში. ნახევრადსარდაფს აქვს ბუნებრივი ვენტილაცია და განათება, აღჭურვილია ფანჯრებით. გარდა ამისა სპორტული დარბაზი აღჭურვილია ყველა საჭირო სპორტული ინვენტარით, რაც იძლევა შესაძლებლობას სხვადასხვა სპორტული და ფიზიკური აქტივობების განსახორციელებლად: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მხიარული სტარტები, ფიზიკური ვარჯიშები და სხვა).<br><br>დარბაზის გვერდით არის გამიჯნული გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისათვის. სკოლას აქვს მაგიდის ჩოგბურთისათვის განკუთვნილი ინვენტარი (ბურთები, ჩოგნები, მაგიდები და ბადეები).<br><br>სკოლას ასევე აქვს შესაბამისად მოწყობილი ღია მოედანი ხელოვნური საფარით, რომელიც ასევე იძლევა საშუალებას კარგ ამინდში წარიმართოს სპორტული აქტივობები (მაგ. ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი და ა.შ.) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება<br>• მომსახურების ხელშეკრულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც მოცემულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში.<br>ლაბორატორიაში განთავსებულია ნიჟარა და ონკანი, ასევე კარადა ცდების ჩატარებისთვის, რომელსაც აქვს გამწოვი.<br>სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება,<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი წყარო, მათ შორის დიზელ-გენერატორი განსაკუთრებული შემთხვევებისათვის; გამიჯნული საპირფარეშოები გოგონების, ვაჟებისათვის და თანამშრომლებისთვის. ასევე ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისთვის. ყველა სველ წერტილში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, რაც საშუალებას იძლევა შენობაში, საკლასო ოთახებში და კაბინეტებში შენარჩუნებული იყოს სტაბილური ტემპერატურა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი წიგნები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თითო ეგზემპლიარი. დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ყველა ეგზემპლიარი დამოწმებულია სათანადო წესით და მითითებულია საინვენტარო ნომერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ბიბლიოთეკაში ქცევის წესები;<br>• ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი<br>• ანბანური და ელექტრონული კატალოგი;<br>• ანგარიშ-ფაქტურებითა და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა მზადაა სსსმ მოსწავლეების მისაღებად. სკოლას აქვს მოძრავი პანდუსი, რითაც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია შენობაში შესვლა და შესაბამის სართულზე ასვლა. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• მომსახურების ხელშეკრულებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლის სარგებლობაშია 17 ცალი პერსონალური კომპიუტერი და „ლეპტოპი“, ტელევიზორი და 2 ცალი პრინტერი. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით. ინტერნეტ კავშირს უზრუნველყოფს კომპანია მაგთი. სკოლის ვებ-გვერდია dea.edu.ge. ვებ-გვერდზე განთავსებულია: სკოლის შინაგანაწესი, წესდება, გაკვეთილების ცხრილი, სკოლის სტრუქტურა, სკოლის მისია და მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია. ასევე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაცია, ფოტოგალერეა, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სკოლის საკონტაქტო მონაცემები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • კომპიუტერული ლაბორატორიის ადგილზე დათვალიერებით;<br>• სკოლის ვებ-გვერდით https://dea.edu.ge/<br>• სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტებით;<br>• ინტერნეტით მომსახურების ხელშეკრულებით;<br>• ჩუქების ხელშეკრულებით;<br>• დომენის და ჰოსტის რეგისტრაციის შესახებ ხელშეკრულებით; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს სახანძრო-ტექნიკური შეიარაღებისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, რომელიც განთავსებულია ყველა სართულზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ასევე ყველა სართულზე განთავსებულია ევაკუაციის გეგმები, ცეცხლმაქრები გადამუხტულია და ვიზიტის დროს ვადა არ ჰქონდა ამოწურული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება.<br>• ევაკუაციის გეგმები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შესასვლელში და დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება, |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. სკოლაში შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. სკოლას ჰყავს ექიმი, ფუნქციონირებს პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებითა და შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი (სამედიცინო ტახტი, მაცივარი და კარადები წამლებისათვის, სველი წერტილი და სხვა). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესაბამისი დოკუმენტაცია და ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლამ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.<br><br>სკოლის უსაფრთხოებას განაპირობებს სკოლის დარაჯი. ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანია “Victoria Security”.-თან.<br><br>სასწავლო პროცესის დროს ასევე განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა წესრიგსა და უსაფრთხოებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების 17 კამერა (5 გარე პერიმეტრზე და 12 შიდა პერიმეტრზე), რომლებიც ყოველთვის უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. აქედან გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებული 2 ცალი ვიდეო კამერა, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას ვიდეო-კამერები დამონტაჟებული ჰქონდა სპორტულ დარბაზში, ხოლო ე.წ. ვერანდა არ კონტროლდებოდა. ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლამ სპორტული დარბაზიდან ვიდეო - კამერა გადაიტანა ვერანდაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში შემუშავებულია წესდება, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკისა და კათედრის/კათედრების დებულებები, საქმისწარმოების წესი. დასახელებული მარეგულირებელი დოკუმენტები აწესრიგებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და დასაქმებულებთან საქმიანი ურთიერთობის წარმართვის წესებს, განსაზღვრავს მათ ფუნქცია-მოვალეობებს. ხელს უწყობს სასკოლო საქმიანობის სწორად წარმართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წესდებით;<br>• შინაგანაწესით;<br>• ბიბლიოთეკისა და კათედრის დებულებებით;<br>• საქმისწარმოების წესით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.<br>გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში, აქტივობები გაწერილია სასწავლო წლების მიხედვით და მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას: სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სწავლა-სწავლების ახალი სტანდარტების დანერგვას, ტექნოლოგიების შეძენას, კადრების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას და სხვა აქტივობებს.<br>ერთწლიან გეგმაში გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძებები, განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები, |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა;<br>• სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, მისი მოქმედების სფერო.<br>სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვას, ასევე გამოცემული ბრძანებების და გადაწყვეტილებების აღრიცხვას რისთვისაც სკოლაში არსებობს: შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, ძირითადი ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი. საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 25 მასწავლებელი. ადმინისტრაციის წევრები არიან: დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი და ბუღალტერი. ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი: ფსიქოლოგი, იურისტი, საქმისწარმოებელი, ექიმი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ხუთი გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი, IT მენეჯერი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, მნე, მზარეული, მზარეულის თანაშემწე და დამლაგებელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• საშტატო განრიგი;<br>• 2022-2023 წლის საათობრივი ბადე;<br>• გასაუბრება ადმინისტრაციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 25 |
| მოწვეული/მაძიებელი | 5/1/7 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | |
| უფროსი მასწავლებლი | 12 |
| წამყვანი მასწავლებლი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელის უმრავლესობა ვინც ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საგნებს ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, 7 მასწავლებელი დასაქმებულია პირობით, რაც ითვალისწინებს 2 წლიანი დასაქმების პერიოდში საგნის და 60 კრედიტიანი პროგრამის გავლას. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ უფროს მასწავლებელს სტატუსი მოპოვებული აქვს ბუნებისმეტყველებით და ასევე ასწავლიდა მე და საზოგადოებას და სამოქალაქო განათლებას, ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე აღნიშნული საათები სკოლამ გადაანაწილა შესაბამის საგნობრივი ჯგუფის უფროს მასწავლებლებზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულება<br>• საათობრივი ბადე<br>• eSchool ბაზა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება სრულად არ გამომდინარეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 174/ნ ბრძანებიდან, კერძოდ გაწერილი არ იყო შიდა ვაკანსიის გამოცხადების პროცედურა. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში გაიცა რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც სკოლამ შინაგანაწესში შეიტანა შესაბამისი ცვლილებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• მასწავლებელთა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურის ჩატარების წესი;<br>• სკოლის დირექტორთან გასაუბრება<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის წესდება წესდება;<br>• პირადი საქმეები;<br>• გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შპს დეა სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება და ასევე ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი.<br><br>მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებლის პროფესული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლა ზრუნავს მასწავლებლეთა პროფესიულ განვითარებაზე. ხარისხის მართვის ჯგუფი და საგნობრივი კათედრები ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე და გასცემენ განმავითარებელ უკუკავშირს.<br><br>2022 წლის მარტში შპს ,,დეა“ სკოლა ჩაერთო Microsoft showcase School პროგრამაში. პროექტს სკოლის სახელით 3 თანამშრომელი უძღვებოდა. Showcase School პროგრამის ფარგლებში სკოლამ ჩაატარა:<br><br>1. ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა კვლევა შემდეგი მიმართულებებით: სწავლა სწავლება; მოსწავლის და სკოლის წარმატება; ჭკვიანი გარემო; ლიდერობა და პოლიტიკა.<br>2. Showcase School პროგრამამ სკოლას საშუალება მისცა მასწავლებლები გადაემზადებინა სხვადასხვა სახის ტრენინგებით, მათ შორის: 21-ე საუკუნის სწავლების დიზაინი; Minecraft - საგანმანათლებლო ვერსია: მასწავლებელთა აკადემია.<br><br>გამართულ ტრენინგებში, პროექტის მოთხოვნის შესაბამისად, მასწავლებელთა 94% ჩაერთო, მათ ტრენინგის ბოლოს გადაეცათ სერტიფიკატები.<br><br>სკოლამ შეადგინა სამოქმედო გეგმა, პროექტის დასასრულს შპს „დეა“ სკოლას გადაეცა სერტიფიკატი Microsoft Showcase Incubator პროგრამაში მონაწილეობისთვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის 2022-2023 სამოქმედო გეგმა;<br>• გასაუბრება პედაგოგებთან<br>• ხარისხის მენეჯერის ანგარიში<br>• გასაუბრება ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის თანახმად, თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა გასაუბრებით გამოჩნდა, რომ მათ შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები, წინადადებით მიმართონ სკოლის დირექციას. მათი საუბრიდან ჩანდა, რომ აქვთ სკოლისადმი მაღალი მიკუთნებულობა და აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში მათთვის სასიამოვნო გარემოა შექმნილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მოსწავლეებთან გასაუბრება<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება<br>• მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) თარიღი

თბილისი 11.01.2023

გვერდების რაოდენობა 35 (ოცდათხუთმეტი) გვერდი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------------

ბ.ა.